საქართველოს პრემიერ-მინისტრს
ბატონ გიორგი კვირიკაშვილს

რეკომენდაცია

მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დასაქმების სფეროს ნიშნით პირდაპირი დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ

შემუშავებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] და „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

ბატონო გიორგი,

2017 წლის 12 იანვარს საქართველოს სახალხო დამცველს N 374/17 განცხადებით მომართა ააიპ „ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრის“ დირექტორმა თ. მ.-მ, რომელიც წარმოადგენს თ. მ.-ს (შემდგომში განმცხადებელი). განმცხადებელი მიიჩნევს, რომ საქართველოს მთავრობის (შემდგომში მოპასუხე) მხრიდან ადგილი აქვს დისკრიმინაციას, ვინაიდან განმცხადებელი დასაქმებულია საჯარო სექტორში და კერძო სექტორში დასაქმებული პირებისგან განსხვავებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის განკუთვნილი სოციალური პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობას მოკლებულია.

საქმის სრულყოფილად შესწავლის მიზნით, სახალხო დამცველის აპარატმა ინფორმაცია გამოითხოვა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციიდან.

1. ფაქტობრივი გარემოებები

განცხადების თანახმად, თ. მ. არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. განმცხადებელი 2008 წლიდან მუშაობს საჯარო სექტორში და ამჟამად საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს შიდა კონტროლის სამსახურში სპეციალისტის თანამდებობაზეა დასაქმებული. 2012 წლამდე ის სარგებლობდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის განკუთვნილი სოციალური პაკეტით, რომელიც გულისხმობს ყოველთვიურ ფულად სარგებელს. აღნიშნული პაკეტით სარგებლობის უფლება განმცხადებელს 2012 წელს შეუწყდა. უფლებით სარგებლობის შეწყვეტის საფუძველი გახდა „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილება, რომლის მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და

წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა.

განცხადების თანახმად, საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აქვთ თანაბარი საჭიროებები, შესაბამისად, მათი ინტერესი, მიიღონ გათვალისწინებული სოციალური პაკეტი არის თანაბარი. განმცხადებელი მიიჩნევს, რომ დიფერენცირებული მოპყრობა განპირობებულია დასაქმების სფეროს ნიშნით. ამასთან, გაუმართლებელია, რომ საჯარო სამსახურის შემთხვევაში ხელფასი ითვლებოდეს სოციალური ბენეფიტის ალტერნატივად, ხოლო კერძო დამსაქმებლის შემთხვევაში ამგვარ სოციალურ პაკეტს გააჩნდეს განსხვავებული ბუნება. ამასთან, საჯარო და კერძო დასაქმების სფეროში ანაზღაურების ოდენობა შეიძლება იყოს თანაბარი ან რომელიმე მათგანი მცირედით ან მნიშვნელოვნადაც ჩამოუვარდებოდეს მეორეს.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავრობიდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რით არის განპირობებული საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს შორის განსხვავებული მოპყრობა. 2017 წლის 31 იანვრის წერილით საქართველოს მთავრობას არ წარმოუდგენია განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი.[1]

2. სამართლებრივი შეფასება

თანასწორობის უფლება გარანტირებულია როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ასევე საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-14 მუხლი წარმოადგენს „თანასწორობის უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რომელიც გულისხმობს ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას.... ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.“[2] სასამართლო განმარტავს, რომ ,,კანონის წინაშე თანასწორობის უფლება არ გულისხმობს, ბუნებისა და შესაძლებლობის განურჩევლად, ყველა ადამიანის ერთსა და

[1] წერილის თანახმად, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 21 ივლისის N 338 დადგენილებით დამტკიცებულია 2016-2017 წლებისთვის საქართველოს ადამიანი უფლებების დაცვის სამთავრობო სამოქმედო გეგმა, რომლის მე-19 პუნქტი ითვალისწინებს შშმ პირთა უფლებების დაცვის მიზნით გასატარებელი მთელი რიგი საქმიანობების ჩამონათვალს, მათ შორის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციასთან. ასევე, საქმიანობების შესრულებაზე საქართველოს მთავრობასთან ერთად პასუსისმგებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო. მოპასუხემ განმარტა, რომ შშმ პირთა უფლებების კონვენცია განამტკიცებს შშმ პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე, მათ შორის 28-ე მუხლის ნაწილი 2 (ც)-ის შესაბამისად, განამტკიცებს სიღარიბის პირობებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და მათი ოჯახებისათვის სახელმწიფოს მხრიდან დახმარებას შეზღუდული შესაძლებლობით გამოწვეული ფინანსური დანახარჯების დაფარვისთვის

[2] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 1

იმავე პირობებში მოქცევას. მისგან მომდინარეობს მხოლოდ ისეთი საკანონმდებლო სივრცის შექმნის ვალდებულება, რომელიც ყოველი კონკრეტული ურთიერთობისთვის არსებითად თანასწორთ შეუქმნის თანასწორ შესაძლებლობებს, ხოლო უთანასწოროებს პირიქით".[3]

ამასთან, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლის თანახმად, ამ კანონის მიზანია დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრა და ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობის უზრუნველყოფა.

იმავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, პირდაპირი დისკრიმინაცია არის ისეთი მოპყრობა ან პირობების შექმნა, რომელიც პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით სარგებლობისას ამ კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული რომელიმე ნიშნის გამო არახელსაყრელ მდგომარეობაში აყენებს ანალოგიურ პირობებში მყოფ სხვა პირებთან შედარებით ან თანაბარ მდგომარეობაში აყენებს არსებითად უთანასწორო პირობებში მყოფ პირებს, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ამგვარი მოპყრობა ან პირობების შექმნა ემსახურება საზოგადოებრივი წესრიგისა და ზნეობის დასაცავად კანონით განსაზღვრულ მიზანს, აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ხოლო გამოყენებული საშუალებები თანაზომიერია ასეთი მიზნის მისაღწევად.

დასახელებული მუხლების შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ დისკრიმინაცია სახეზეა, როდესაც პირს ხელი ეშლება ***საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას, არსებობს განსხვავებული მოპყრობა ანალოგიურ პირობებში მყოფი პირების მიმართ,*** არ არსებობს ***კანონით განსაზღვრული მიზანი,*** განსხვავებულ მოპყრობას არ აქვს ***ობიექტური და გონივრული გამართლება*** და იგი ***დასახული მიზნის არათანაზომიერია.***

იგივე პრინციპი გამომდინარეობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლიდან. ევროპული სასამართლოს განმარტებით, იმისათვის, რომ საკითხი მოექცეს ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-14 მუხლის (თანასწორობის უფლება) ქვეშ, აუცილებელია, რომ ***განსხვავებული მოპყრობა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.*** განსხვავებული მოპყრობა დისკრიმინაციულია თუ მას ***არა აქვს ობიექტური და გონივრული გამართლება,*** ე.ი. ***არ ისახავს კანონიერ მიზანს*** და არ არსებობს ***პროპორციულობის გონივრული კავშირი გამოყენებულ საშუალებებსა და დასახულ მიზანს შორის.***[4]

---

[3] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაწყვეტილება N 2/1/473, II, 2

[4] ECtHR, *Eweida and others v. United Kingdom*, nos. 48420/10, 59842/10, 51671/10, 36516/10, 15/01/2013, § 87-88; *Burden v. United Kingdom,* nos. 13378/05, 29/04/2008, 29/04/2008, § 60

2.1. კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებები, რომელთა სარგებლობაშიც ხელი შეეშალა განმცხადებელს

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების გაეროს კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებით ყველა მონაწილე სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, არსებული რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისა და, საჭიროების შემთხვევაში, საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, მიიღოს ყველა ზომა აღნიშნულ უფლებათა სრული დაცვის სისტემატური, პროგრესირებადი უზრუნველყოფისათვის. ამავე კონვენციის 26-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები იღებენ ეფექტურ და შესაბამის ზომებს, მათ შორის, ურთიერთმხარდაჭერის გამოყენებით, რათა უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მაქსიმალური დამოუკიდებლობის, სრული ფიზიკური, მენტალური, სოციალური და პროფესიული შესაძლებლობების მიღწევისა და გამოყენების შესაძლებლობა.

კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებას სოციალურ დაცვაზე, ამ უფლებით შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე წარმოშობილი ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გამოყენების უფლებას და იღებენ შესაბამის ზომებს მისი დაცვისა და რეალიზებისათვის, მათ შორის, უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სუფთა წყლის მიღების, შესაბამისი და მისაწვდომი მომსახურების, საშუალებებისა და ასევე შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სხვა ბენეფიტის მისაწვდომობას; უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის, კერძოდ, ქალების, გოგონებისა და ხანდაზმულებისათვის სოციალური დაცვისა და სიღარიბის აღმოფხვრაზე მიმართული პროგრამების მისაწვდომობას; უზრუნველყოფენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საპენსიო დახმარებისა და პროგრამების თანაბარ მისაწვდომობას.

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N 279 სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მე-4 მუხლის თანახმად, ბენეფიციარს უფლება აქვს მიიღოს სოციალური პაკეტი. მე-5 მუხლის თანახმად, სოციალური პაკეტი ენიშნებათ <u>მკვეთრად გამოხატული</u> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, <u>მნიშვნელოვნად გამოხატული</u> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და <u>ზომიერად გამოხატული</u> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი <u>უფლება წყდება</u> პირის მიერ საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში, <u>გარდა</u> <u>მკვეთრად გამოხატული</u> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და <u>მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული</u> შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა.

განმცხადებელი არის მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი და დასაქმებულია საჯარო სამსახურში, 2012 წელს სადავო დადგენილების ძალაში შესვლით, მას სოციალური პაკეტით სარგებლობის უფლება ჩამოერთვა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონკრეტული უფლების ადეკვატური უზრუნველყოფით ადამიანის ღირსების დაცვისას სახელმწიფო, იმავდროულად, ვალდებულია, გაითვალისწინოს დემოკრატიულ, სამართლებრივ და სოციალურ სახელმწიფოში ადამიანისა და სახელმწიფოს ურთიერთდამოკიდებულება. ამ მიზნით, კანონმდებლობა უნდა შეიქმნას სოციალური თანაცხოვრების ხელშეწყობისა და შენარჩუნების გათვალისწინებით, თუმცა იმ აუცილებელი პირობით, რომ დაცული იქნება თითოეული პიროვნების თვითმყოფადობა.[5] განხილული სამართლებრივი წყაროები ცხადყოფს, რომ სახელმწიფოს ნაკისრი აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სოციალურად უზრუნველყოფის ვალდებულება, საქართველოს მთავრობის N 279 დადგენილების სადავო ნორმის შედეგად კი განმცხადებელს ხელი ეშლება ამ უფლებით სარგებლობისას.

2.2. ანალოგიურ მდგომარეობაში მყოფი პირებისადმი განსხვავებული მოპყრობა

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, ნებისმიერი უფლების აღიარება აზრს დაკარგავს მასზე თანაბარი წვდომის გარანტირებული შესაძლებლობის გარეშე. ადამიანებისთვის **სასიცოცხლოდ აუცილებელია განცდა,** რომ მათ სამართლიანად ეპყრობიან.[6] თანასწორობის იდეა ემსახურება ამა თუ იმ სფეროში ადამიანების თვითრეალიზაციისთვის ერთნაირი შესაძლებლობის გარანტირებას.[7] დისკრიმინაციის აკრძალვა სახელმწიფოსგან მოითხოვს, რომ მის მიერ დადგენილი ნებისმიერი რეგულაცია შეესაბამებოდეს თანასწორობის ძირითად არსს – არსებითად თანასწორებს მოეპყროს თანასწორად და პირიქით.[8]

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირები არსებითად თანასწორები უნდა იყვნენ კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობაში და ისინი ამა თუ იმ შინაარსით, კრიტერიუმით მსგავს კატეგორიაში, ანალოგიურ გარემოებებში უნდა ხვდებოდნენ, არსებითად თანასწორნი უნდა იყვნენ კონკრეტულ ვითარებასა თუ ურთიერთობებში.[9] ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ დისკრიმინაციის შემთხვევაში

---

[5] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/3/407, II, 7
[6] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N 1/1/539, II, 2; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 3
[7] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 1
[8] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N1/1/493, II, 4; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539, II, 4; საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 ივნისის გადაწყვეტილება N1/3/534, II, 5
[9] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება №1/1/493, II, 2

განსხვავებული მოპყრობა უნდა არსებობდეს ანალოგიურ ან მსგავს სიტუაციაში მყოფი პირების მიმართ.[10]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, დისკრიმინაციის დასადგენად აუცილებელია, განსხვავება მოპყრობა ხდებოდეს რომელიმე მაიდენტიფიცირებელი მახასიათებლის ან სტატუსის გამო.[11] ამასთან დაკავშირებით სასამართლომ განმარტა, რომ სტატუსს აქვს ფართო მნიშვნელობა და ის არ შემოიფარგლება მხოლოდ იმ მახასიათებლებით, რომელიც არის პერსონალური და თანდაყოლილი.[12] ამასთან, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, კონსტიტუციის მე-14 მუხლის ჩამონათვალში მითითებული ნიშნები მომდინარეობს ადამიანის იდენტობის გამომხატველი ფაქტორებიდან, ემყარება მათი ღირსების პატივისცემას და გააჩნია თავისი ისტორიული წანამძღვრები. ხსენებული ნიშნების საფუძველზე დიფერენცირება წარმოადგენს დისკრიმინაციის მომეტებული რისკის მატარებელ შემთხვევებს და კანონმდებლისაგან მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას. თუმცა ეს არ გამორიცხავს ადამიანთა არაგონივრული დიფერენცირების სხვა შემთხვევების არსებობას და მათი კონსტიტუციით აკრძალვის საჭიროებას.[13] საკონსტიტუციო სასამართლომ ნორმის არაკონსტიტუციურობა მე-14 მუხლთან მიმართებით დაადგინა, მათ შორის, დასაქმების ადგილის[14] და სამართლებრივი ურთიერთობის დაწყების დროის[15] საფუძველზე. ასევე, „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი უზრუნველყოფს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით თანასწორად სარგებლობას „სხვა ნიშნის“ მიუხედავად. კანონი არ აკეთებს ნიშნების ამომწურავ ჩამონათვალს და დისკრიმინაციისგან დაცულ საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს ნიშანი, რომელიც კანონში უშუალოდ მითითებული არ არის.

როგორც საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N 279 სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ დადგენილების მე-6 მუხლის მე-4 პუნქტიდან გამომდინარეობს, სოციალური პაკეტით ვერ სარგებლობენ მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა) და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, რომლებიც ახორციელებენ საჯარო საქმიანობას, მაშინ როდესაც, კერძო სექტორში დასაქმებული იმავე შეზღუდვის მქონე პირებს აქვთ სოციალური პაკეტით სარგებლობის შესაძლებლობა.

---

[10] ECtHR, *D.H. and Others v. the Czech Republic [GC],* no. 57325/00, 13/11/2007, § 175

[11] ECtHR, *Guberina v. Croatia*, no. 23682/13, 12/09/2016, § 68; *Eweida and Others v. the United Kingdom*, no. 48420/10, 15/01/2013, § 86

[12] ECtHR, *Guberina v. Croatia*, no. 23682/13, 12/09/2016, § 78; *Clift v. the United Kingdom*, no. 7205/07, 13/07/2010, §§ 56-59

[13] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაყწვეტილება N2/1/473, II, 1

[14] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2008 წლის 31 მარტის გადაწყვეტილება #2/1-392, II, 22

[15] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის გადაყწვეტილება N2/1/473, II, 1

N 279 დადგენილების სადავო ნორმის თანახმად, სოციალური პაკეტით სარგებლობა დამოკიდებულია პირის დასაქმების სფეროზე - საჯარო სექტორში დასაქმებული მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა) და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, კერძო სექტორში დასაქმებულებისგან განსხვავებით, გამორიცხულნი არიან სოციალური პაკეტით სარგებლობისგან. სახალხო დამცველი განმარტავს, რომ საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ ერთნაირი შეზღუდვის მქონე პირებს, არსებული შეზღუდვიდან გამომდინარე, აქვთ თანაბარი საჭიროებები, შესაბამისად, მათი ინტერესი, მიიღონ გათვალისწინებული სოციალური პაკეტი არის თანაბარი.

შესაბამისად, არსებითად თანაბარ პირობებში მყოფ მნიშვნელოვნად (გარდა მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდვა) და ზომიერად გამოხატულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ეპყრობიან განსხვავებულად, რაც განპირობებულია მათი დასაქმების სფეროთი.

2.3. ლეგიტიმური მიზანი და განსხვავებული მოპყრობის ობიქტური და გონივრული დასაბუთება

„დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონი მე-8 მუხლის თანახმად, მას შემდეგ, რაც სახალხო დამცველს წარმოეშობა დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი, იმის მტკიცების ტვირთი, რომ დისკრიმინაციას არ ჰქონია ადგილი, გადადის მოპასუხე მხრეზე. „დისკრიმინაციული ქმედების განხორციელების ვარაუდი“ ნიშნავს, რომ განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი ფაქტები იძლევა იმის ვარაუდის საფუძველს, რომ იგი, რომელიმე აკრძალული ნიშნის საფუძველზე, დაექვემდებარა განსხვავებულ მოპყრობას. მოპასუხე მხარეზე მტკიცების ტვირთის გადატანა კი გულისხმობს, რომ მოპასუხემ სახალხო დამცველს უნდა წარმოუდგინოს ისეთი ლეგიტიმური მიზანი, რომელიც არის განსხვავებული მოპყრობის ობიექტურ და გონივრულ გამართლებას.

სახალხო დამცველის აპარატმა საქართველოს მთავრობიდან გამოითხოვა ინფორმაცია, თუ რით არის განპირობებული საჯარო და კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს შორის განსხვავებული მოპყრობა, კერძოდ, ის გარემოება, რომ სოციალური პაკეტის მიღების უფლება არ წარმოიშობა და წარმოშობილი უფლება წყდება პირის მიერ <u>საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში,</u> გარდა მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა. საგულისხმოა, რომ საქართველოს მთავრობის საპასუხო წერილში განსხვავებული მოპყრობის ლეგიტიმური მიზანი არ განუმარტავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპიდან გამომდინარე, კონსტიტუციურ უფლებებში ჩარევისას სახელმწიფომ კერძო პირებთან მიმართებით არ უნდა მიიღოს გონივრულ საფუძველს მოკლებული და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები.[16] დისკრიმინაციას ექნება ადგილი, თუ დიფერენციაციის მიზეზები აუხსნელია, მოკლებულია გონივრულ საფუძველს.[17] განსახილველ შემთხვევაში, მოპასუხემ ვერ დაასაბუთა განსხვავებული მოპყრობის გამამართლებელი არგუმენტი და ლეგიტიმური მიზანი. განსხვავებული მოპყრობა კი, რომელსაც არ აქვს ლეგიტიმური მიზანი, წარმოადგენს დისკრიმინაციას. შესაბამისად, სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ განმცხადებლის მიმართ საქართველოს მთავრობის მხრიდან ადგილი აქვს პირდაპირ დისკრიმინაციას დასაქმების სფეროს ნიშნით.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20[1] მუხლით და ,,დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს სახალხო დამცველი რეკომენდაციით მიმართავს საქართველოს მთავრობას, უზრუნველყოს საჯარო სამსახურში დასაქმებული მნიშვნელოვნად და ზომიერად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები „სოციალური პაკეტის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 23 ივლისის N279 დადგენილებით გათვალისწინებული სოციალური პაკეტით.

გთხოვთ, თქვენ მიერ გატარებული ღონისძიებების თაობაზე მაცნობოთ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 24-ე მუხლით დადგენილ ვადაში.

პატივისცემით,

[16] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 3

[17] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება N 1/1/493, II, 3; საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილება N1/1/539, II, 6